# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 222

„15“ ივნისი 2021 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, №44-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.009.01.050; №01.14.05.003.009.01.052) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №44-ში (საკადასტრო კოდები: №01.14.05.003.009.01.050; 01.14.05.003.009.01.052) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 2 ივნისის №21.702.782 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, №44-ში, მე-5 სართულზე მდებარე 86.45 კვ.მ ბინა №52-ისა და 6.97 კვ.მ. ბინა №50-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.009.01.052; №01.14.05.003.009.01.050) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ნუგზარ ხელაიასთვის (პ/ნ: 61001029350) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე